მურმანის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №12(98) 2015 წ. 16-30 ივნისი ფასი 50 თეთრი

შევეწიოთ დაზარალებულებს

13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების მიზნით თანხის შეგროვება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გრძელდება. ვისაც სურვილი გაქვთ, შემოგვიერთდით! გავერთიანდეთ, დავეხმაროთ და გვერდით დავუდგეთ იმ ადამიანებს, რომელთაც ჩვენი თანადგომა და მხარდაჭერა ახლა ყველაზე მეტად სჭირდებათ.

შემოწირულობის შესაგროვებლად გამოყოფილია ყუთები, რომლებიც განთავსებულია ქ. საგარეჯოს მაღაზიებში:

სუპერმარკეტი **„პრაღა“** მისამართი: სტალინის 65

სუპერმარკეტი **„თენგო“** მისამართი: აღმაშენებლის 43

სუპერმარკეტი **„ციცინათელა“** მისამართი: რუსთაველის 240

სუპერმარკეტი მისამართი: რუსთაველის 107ა (**დურიშვილები**)

სუპერმარკეტი მისამართი: რუსთაველის 115 (**ჯაჭვაძეები**)

მარკეტი მისამართი: **აღმაშენებლის 7**

ვეტ–აფთიაქი მისამართი: **თამარ მეფის 5დ**

შემოწირული თანხა გადაირიცხება სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დასახმარებლად შექმნილ ანგარიშზე საგარეჯოს სახელით.

წინასწარ მადლობას მოგახსენებთ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობისთვის.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი მწუხარებას გამოთქვამს დატრიალებული ტრაგედიის გამო და უსამძიმრებს გარდაცვლილთა ოჯახებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

მდინარე „ვერეს“ რისხვა და დიდი ტრაგედია
გვემუქრება თუ არა მსგავსი კატასტროფა გარეჯელებს?!

რამდენიმე დღის წინ თბილისში საშინელი ტრაგედია დატრიალდა.

პაწაწინა მდინარე ვერემ, რომლიც ჩვეულებრივ უწყინარ ნაკადულს ჰგავს და მახიას ან თუნდაც ჩაილურის ხევს არ აღემატება წყლის სიუხვით, საბავშვო ქალაქ მზიურიდან თბილისის ზოოპარკამდე ტერიტორია გაანადგურა, ზოოპარკის ნახევარი მოსპო და ოცამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

როგორ შეიძლება ასეთი რამ მომხდარიყო, ნუთუ ამის გათვლა წინასწარ არ შეიძლებოდა?

ალბათ შეიძლებოდა, უფრო მეტიც, სპეციალისტები აფრთხილებდნენ წინა ხელისუფლებას, რომ ბუნებისადმი დაუდევარ მოპყრობას, კატასტროფების შესაძლებლობის მხრივ გაუთვლელი პროექტების განხორციელებას საშინელი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა. ინტერნეტსივრცეში ტრიალებს სამი წლის წინ სპეციალისტის მიერ ტელევიზიით გაკეთებული განცხადება, რომ ერთ დღესაც „მდინარე ვერე გმირთა მოედანს მტკვარში ჩაიტანს“-ო.

ჰოდა, ჩაიტანა კიდეც.

განა სწორი არ ვიქნებით, რომ ვერეს „შურისძიებაზე“, ან უფრო სწორედ, ღვთის სასჯელზე ვილაპარაკოთ?

მაინც რა მოხდა?

როგორც აღმოჩნდა, წყნეთი-ბეთანიის გზის მონაკვეთზე ჩამოწვა მეწყერი, რომელმაც მდინარე ვერეს ხეობა გადაკეტა (იმ ღამეს კოკისპირულად წვიმდა). შეიქმნა ერთგვარი ჯებირი, რომელიც მალე აივსო წყლით, წყლის ნაკადმა გაარღვია იგი და ეს უზარმაზარი მასა პირდაპირ თბილისის ცენტრისკენ დაიძრა. ღვარცოფი ვერ გაატარა ხელოვნურმა გვირაბებმა და შედეგიც – 20-მდე დაღუპული ადამიანი, უსახლკაროდ დარჩენილი ათეულობით ოჯახი, დამხრჩვალი და ქალაქში მიმალული გარეული ცხოველები.

იმასაც მოვესწარით, რომ თბილისის ცენტრში ვეფხვმა ადამიანს სიცოცხლე მოუსწრაფა.

დღევანდელმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა და დღესაც აკეთებს დაზარალებულების დასახმარებლად. სამწუხაროდ, ვერავინ დააბრუნებს დაღუპულ ადამიანებს.

საოცარი ერთსულოვნება გვიჩვენა ახალგაზრდობამ, რომლებიც მაშველებთან ერთად დღე და ღამ შრომობდნენ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ.

სტიქიის მიზეზებს სახელმწიფო კომისია დაადგენს, მაგრამ ერთი რამის თქმა ალბათ შეიძლება – რომ არა ტყეების დაუფიქრებელი განადგურება, ალბათ ის მეწყერი არ ჩამოწვებოდა – ტყე ხომ მეწყერისაგან დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

მოდი, აქ შევწყვიტოთ ვერეს ხეობაზე საუბარი და ჩვენს – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის და კონკრეტულად ქალაქ საგარეჯოს საფრთხეებზე ვისაუბროთ.

ყველამ კარგად ვიცით, ბოლო 25 წლის განმავლობაში შეუბრალებლად ნადგურდებოდა ჩვენი ტყეები. შეიძლება ითქვას, ამ ხნის მანძილზე შეშა იყო სათბობის თითქმის ერთადერთი სახეობა და დღესაც ძირითად სახეობად რჩება, მიუხედავად ბუნებრივი გაზის არსებობისა. ადრე ტყეში ზაფხულის ბოლოს და შემოდგომა-ზამთარში შედიოდნენ აუცილებელი გასათბობი საშუალებისათვის, ბოლო ათწლეულებში კი სეზონურობა თითქმის

დასასრული მე-2 გვერდზე

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 ივნისის მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული*** უძღვებოდა. მან სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგი გააცნო.

სხდომაზე დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის 26 დეკემბრის №76 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა **თინათინ კაბილაშვილმა** (თანამომხსენებელი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ნ. ვაჭრიშვილი**). როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანა გამოწვეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 ივნისის №1234 განკარგულებით და ინფრასტრუქტურული დაფინანსების გაზრდით ადგილობრივი ბიუჯეტის წინა წლის ნაშთის შემცირების ხარჯზე. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზრდება 301829 ლარით, გადასახდელები 241288 ლარით, 301 829 ლარით გაიზარდა გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან – საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებას მთავრობის 2015 წლის 16 ივნისის №1234 დადგენილებით დაემატა 301829 ლარი. დაფინანსდა სოფ. პატარძეულში ჭაბურღილისა და შიდა ქსელის მოწყობა – 52836 ლარი და სოფელ წყაროსთავსა და „აჭარელების უბანში“ 4 ჭაბურღილის მოწყობა, შიდა ქსელის მოწესრიგება – 248993.

დღის წესრიგის მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე საკითხებზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პ/ჩაილურში არსებული სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე დამონტაჟებული დაზიანებული 150 მმ-იანი ვინტილის შეძენის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელების შესახებ“, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელების შესახებ“, ქ. საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილი №7-ში იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის სასმელი წყლის ჭაბურღილის ტუმბოს შეძენის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელების შესახებ“, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელების შესახებ“, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურში ე.წ. „სოკარის წყალზე“ სასმელი წყლის ცენტრალური წყლის ტუმბოს შეკეთების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელების შესახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიკციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების გამგემ **ბექა ფეიქრიშვილმა** (თანამომხსენებელი: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კომისიის თავმჯდომარე **ელდარ მეფარიძე**).

სხდომაზე განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი

16 ივნისი 2015 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. თათბირზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში არსებულ მდგომარეობაზე ზეპირი ინფორმაციები გააკეთეს გამგებლის წარმომადგენლებმა. მათ ისაუბრეს ძირითადად იმ პრობლემებზე, რომლებიც სოფლებში არსებობს. ხაზი გაესვა იმას, რომ ზოგიერთ სოფელში დაზიანდა სასმელი წყლის ცენტრალური მილები და საჭიროებს შეკეთებას. ასეთი მდგომარეობაა შექმნილი სოფლებში: უდაბნოში, ხაშმში, ბადიაურში... შესაცვლელია პატარა ჩაილურში არსებული სასმელი წყლის ცენტრალურ მაგისტრალზე დამონაჟებული დაზიანებული 150 მმ-იანი საკეტი, შესაძენია ქ. საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილის №7-ში იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის სასმელი წყლის ჭაბურღილის ტუმბო, შესაკეთებელია სოფელ ბადიაურში ე.წ. „სოკარის წყალზე“ სასმელი წყლის ცენტრალური მილის და სატუმბო სადგურში მდგარი ქსელში ამქაჩი ტუმბო, ასევე, დაზიანდა სოფელ მანავში ე.წ. „კალობნის“ ასასვლელში ცენტრალური წყლის მილი.

შიბლიანში ამუშავდა ჭაბურღილი, რომელიც ამოირეცხა, გასუფთავდა და იგი უკვე ერთი უბნის 16 ოჯახს აკმაყოფილებს სასმელი წყლით.

თათბირზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა გააკეთა ინფორმაცია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქერისა და ხორბლის მოსალოდნელი მოსავლიანობის შესახებ.

თათბირზე სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილების უფროსმა თამარ ბერიძემ თათბირის მონაწილეთ სოციალური მომსახურების სფეროში არსებული ცვლილებები გააცნო.

აქვე დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები 13 ივნისის ღამეს თბილისში დატრიალებული სტიქიური უბედურებით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

თათბირს ესწრებოდა ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე*** **გიორგი რევაზიშვილი.**

23 ივნისი, 2015 წ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. თათბირის მონაწილეები ვრცლად შეეხნენ სოფლებში არსებულ პრობლემებს, ისაუბრეს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით სოფლებში განსახორციელებლი პროექტების საწყის პერიოდზე.

თათბირზე კიდევ ერთხელ დასახეს ღონისძიებები 13 ივნისს სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად და აღნიშნეს, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ მარკეტებში დადგმულია ყუთები შესაწირავისათვის. გამგებლის რწმუნებულებმა ისაუბრეს სოფლებში ახალგაზრდობის მიერ გამოთქმულ დახმარებებზე.

თათბირს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები **გიორგი რევაზიშვილი** და **დავით ივანიშვილი.**

მდინარე „ვერეს“ რისხვა და დიდი ტრაგედია

გვემუქრება თუ არა მსგავსი კატასტროფა გარეჯელებს?!

<u>**დასასრული**</u>

აღარ არსებობს.

და, მაინც – მხოლოდ მოსახლეობის გასათბობად რომ ვიყენებდეთ შეშას, ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა ჩვენი ტყეები.

ორ ათეულ წელზე მეტია ლაპარაკია ე.წ. ნახშირსაწვავებზე, რომლებიც ჩვენი ტყეების რისხვად ქცეულა.

ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გაბედა ამ პრობლემის დარეგულირება.

ნუთუ თვალთხევმა ან თუნდა წიფლის ხევმაც უნდა დაატრიალოს ისეთივე ტრაგედია, რაც მდინარე ვერემ გააკეთა თბილისში?

განა ეს შეუძლებელია?

ასაკიანი ადამიანები ჰყვებიან, ზოგმა კი გადმოცემით იცის, რომ ამ მდინარეებს საშინელი ადიდება სცოდნიათ. იტბორებოდა მდინარის ორივე მხარეს არსებული სახლები და ნაკვეთები. ჯებირების გაკეთების შემდეგ ეს იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებოდა,

ვის არ უნახავს პირამდე გავსებული თვალთხევი.

ძველებისგან ისიც ვიცით გადმოცემით, რომ თურმე ზოგჯერ იმხელა წყალი გამოვარდებოდა ხოლმე, ორივე ხევის (თვალთხევის და წიფლისხევის) ნაკადები ერთიანდებოდა და რაც გზაზე ედობებოდა, თან მიჰქონდა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსგავსი რამ აღარ მომხდარა, თუმცა, ვფიქრობ, ეს უფრო კლიმატის ცვლილებას უნდა მივაწეროთ. მაგრამ კლიმატს, თუ სპეციალისტებს ვენდობით, ციკლურობა ახასიათებს და დიდ ნალექებსაც უნდა ველოდოთ და წყალდიდობებსაც, მით უფრო, რომ არავინ იცის, რას გვიქადის გლობალური დათბობა.

აუცილებლად სჭირდება შველა ჩვენს ტყეებს. ყველას გვახსოვს შარშანდელი საშინელი გვალვა და მისი შედეგები. არ გამოვიდა მახია, რაც უიშვიათესი მოვლენა ყოფილა. იმასაც ამბობენ თვითმხილველები, რომ ჩვენი ტყეები საშინელ მდგომარეობაშია. ასეთ დროს საერთოდ, კრძალავენ ხოლმე ტყეში შესვლას, რათა მან შეძლოს თვითაღდგენა. ვაკე ადგილებში ხე-ტყე უკვე ძნელი საშოვარია, ამიტომ ციცაბო ფერდობებზეც იჭრება ხეები, რაც სწორედ ისეთივე მეწყერის მიზეზი ხდება, რამაც ვერე გადაკეტა და თბილისის ცენტრში ტრაგედია დაატრიალა.

ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც სასწრაფოდ მიხედვას მოითხოვს. ამაზე მართებს მუშაობა როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ხელისუფლებას. ტყეს დახმარება სჭიდება.

მერე გვიანდა იქნება „თითზე კბენანი“.

ზურაბ აგულაშვილი

აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორი:
ელზა გილაშვილი:

— „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელებს ყველა პირობა შეექმნებათ“...

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების განვითარება-დახვეწასა და საბოლოო შედეგის – ბავშვის ჰარმონიული (ფიზიკური, გონებრივი, ემოციური) განვითარების ხელშეწყობისა და საამისოდ ოპტიმალური პირობების შესაქმნელად აქტიურად მუშაობს ჩვენი ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მასთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. დიახ, სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვმა სწორედ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში უნდა მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება. აქ ხდება სკოლამდელი განათლების ძირითადი მიზნების: ბავშვის სოციალურ-ემოციური, ფიზიკური, შემეცნებითი და მეტყველების განვითარება და უკვე ექვსწლიანებში სრულფასოვნად უნდა იყოს გამომუშავებული სწავლისადმი ცნობისმოყვარე, შემოქმედებითი, აქტიური, ლაღი გამოცდილება. ბავშვი აქ იღებს საბუნებისმეტყველო განათლებას, ხდება მისი მეტყველების განვითარება, ეცნობა ხელოვნებას, სპორტს, აქტიურად ერთვება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შეისწავლის თავისი ქვეყნის ტრადიციებს, ოჯახურ წეს-ჩვეულებებს, დღესასწაულებს, სრულფასოვანი წევრი ხდება იმ საზოგადოებისა, სადაც მას უხდება ცხოვრება, თამაში, სწავლა. ამიტომაცაა ბოლო ხანს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 2014-2015 სასწავლო წლებში გაწეული ამ სიახლეების შესახებ გვესაუბრება აიპ ***„საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების“ დირექტორი ელზა გილაშვილი.***

— ქ-ნო ელზა, ჩვენი საუბარი დავიწყოთ აღსაზრდელებით, რამდენი აღსაზრდელი იყო გაერთიანებული ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში?

— მუნიციპალიტეტის 25 სკოლამდელი დაწესებულებისა და ორი ალტერნატიული ჯგუფის 1200 აღსაზრდელს 61 აღმზრდელი, 60 აღმზრდელის თანაშემწე, 26 მენეჯერი, 5 მეთოდისტი, 12 აღმზრდელ-ფსიქოლოგი, 12 აღმზრდელ-ლოგოპედი, 17 მუსიკის მასწავლებელი და 117 ტექნიკური პერსონალი ემსახურებოდა და ემსახურება.

— ქვეყნის, მთავრობისა და ხელისუფლების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ადგილობრივი თვითმართველობის მთელი ინტერესი და ყურადღება დღეს მომავალი თაობის სრულფასოვან მოქალაქეებად აღზრდისაკენ არის მიმართული და საამისოდ, მათი აღზრდა-განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნაა დასახული მიზნად. კონკრეტულად, რა გაკეთდა ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გასული წლის სექტემბრიდან დღემდე ამ კუთხით?

— ყურადღებით, დიდი ინტერესით იქნა შესწავლილი ჩვენი სკოლამდელი აღზრდის თითოეული დაწესებულება. გაირკვა, დადგინდა – სად რა იყო გასაკეთებელი. მინდა გითხრათ, რომ მართალია, ბევრი რამ სასიკეთო გაკეთდა, მაგრამ მოგეხსენებათ, იმდენი რამ იყო გასაკეთებელი, რომ მაინც რჩება სამომავლოდ რადაც-რადაცეები გასაკეთებლად. თუმცა სიამაყით გეტყვით, რომ:

გაკეთდა ელექტროგაყვანილობა:

— საგარეჯოს №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (აქვე გაკეთდა სასმელი წყლის სისტემა და კანალიზაცია).

ელექტროგაყვანილობა შეიცვალა:

— საგარეჯოს №3, №5, მანავის №2 და ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

მოხდა კანალიზაციის ქსელის შეკეთება-რეაბილიტაცია:

— ბადიაურის, პატარძეულისა და საგარეჯოს №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში;

კარ-ფანჯარა შეიცვალა:

— მანავის №2 და პატარძეულის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ყანდაურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რამდენიმე ოთახში;

მოეწყო ტუალეტი შენობაში:

— კაკაბეთის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში;

შემოიღობა ეზო:

— კაკაბეთის №1 და №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში;

გადაიღება შენობის შესასვლელი:

— საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში;

გარემონტდა:

— შიბლიანის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კვების ბლოკი;

„სოფლის განვითარების ფონდიდან გარემონტდა:

— ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სამზარეულო;

„ქალთა გაძლიერება-ცვლილებებისთვის“ პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყო:

ნინოწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზო;

უდაბნოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

გასული წლის დეკემბერში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის ***შევიძინეთ სამზარეულოს თანამედროვე ავეჯი:***

მაგიდები, გაზქურები, მაცივრები, ელექტროხორცსაკეპები, ქვაბები, ტაფები, კონტეინერები, სათლები, ჩაიდნები.

თითქმის ყველა დაწესებულებისთვის ***შევიძინეთ მუსიკალური ცენტრი, მაგიდები სკამები.***

თანამედროვე მეთოდით სწავლების დანერგვისათვის შევიძინეთ თაროები ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისათვის სასწავლო-საადმზრდელო ცენტრის მოსაწყობად.

— სასწავლო-საადმზრდელო სწავლებაზე რას გვეტყვით?

— ამ კუთხით სისტემატურად ვცდილობთ ახალი მეთოდური ლიტერატურისა და პროგრამების შემოტანას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულმა სკოლამდელი აღზრდის სამმართველომ შემოგვთავაზა აღმზრდელების გადამზადება „სკოლამდელი მზაობის“ ჯგუფებისათვის, რომელთა გახსნასაც სექტემბერში გეგმავენ.

— ახალ სასწავლო წელს, სექტემბერში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიდან რამდენი პირველკლასელი მიდის სკოლაში?

— 367 ბავშვი.

— ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა მუნიციპალიტეტებში, ალბათ ჩვენთანაც სკოლისგარეშე დარჩნენ 6 წლის ასაკის ბავშვები?

— საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ახლახან მიღებული კანონის გამო სკოლისგარეშე დარჩა 142 ბავშვი.

— ქალბატონო ელზა, რა გაკეთდა და რა კეთდება მიმდინარე, 2015 წელს?

— მიმდინარე წლის მაისიდან ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ყველა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების კვების ბლოკის მოწესრიგება. კერძოდ, ეწყობა გამწოვები, ტრაპები, მწერებისაგან დამცავი ბადეები, სანათურები და ასევე, კეთდება კოსმეტიკური რემონტი. პარალელურად, ხდება იმ 8 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაზიფიცირება, სადაც გაზი უკვე შეყვანილია.

ამასთან, ***რეგიონული განვითარების ფონდი მანავის №1, საგარეჯოს №4 და გომბორის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კაპიტალურ რემონტს ახორციელებს.***

და რაც ყველაზე სასიხარულოა, სექტემბრიდან ***უდაბნოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღსაზრდელები ახალ შენობაში*** შეუდგებიან სასწავლო-საადმზრდელო პროცესს.

ახალი მეთოდოლოგია

სიახლეები სოციალურად დაუცველ ოჯახთა შემოწმებაში



„სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის 758 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასება დაიწყო

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის 758 დადგენილებით დამტკიცდა სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია.

აღნიშნული მეთოდოლოგიის ფარგლებში შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე, საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა არის 100001 (ასი ათას ერთი) და საარსებო შემწეობის ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც ნაკლებია 30001-ზე, განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57001 ქულაზე, განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60001 ქულაზე, განისაზღვრება 40 ლარით, ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65001 ქულაზე, განისაზღვრება 30 ლარით, ოჯახის ყველა წევრზე;

ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 100001-ზე ნაკლებია, საარსებო შემწეობა განისაზღვრება 10 ლარით ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე.

საარსებო შემწეობას 10 ლარის ოდენობით, ოჯახის თითოეულ 16 წლამდე ასაკის წევრზე, ზემოაღნიშნულ საარსებო შემწეობასთან ერთად იღებს ყველა ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 65001-ზე ნაკლებია.

„სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის 758 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ყველა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასება განხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული გრაფიკის და/ან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ინიციატივით, მიუხედავად, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის მიმართვისა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების თაობაზე.

თამარ ბერიძე

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საგარეჯოს რაიონული განყოფილების უფროსი

ᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲬᲔᲕᲡ _ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲑᲠᲩᲔᲑ!

„ᲘᲡ ᲰᲠᲩᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲛᲐ ᲐᲙᲔᲗᲐ“

ᲩᲕᲔᲜᲡ გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ყოველდღიური ცხოვრებით, ადამიანებთან ურთიერთობით, თავის დამდაბლებით დიდ სულიერ სიმაღლეებს აღწევენ. ეს სულიერი სიმაღლე კი ხშირ შემთხვევაში სწორედ გარშემომყოფთა სიყვარულით, დაფასებით, მათში კარგის დანახვით და მადლიერების გამომჩენურებით ხდება.

საოცარი თითქმის არაფერი ხდება ამ ქვეყანაში, მაგრამ ხომ დაგვიძვირდა ერთმანეთის მიმართ კეთილი სიტყვის თქმა, ბოლოსდაბოლოს, მადლიერების გამოხატვა, ცოტა არ იყოს გამიკვირდა, მაგრამ ამ გაკვირვებამ სიხარულის დიდი გრძნობა გამოიწვია – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის აუდიტის სამსახურის უფროსი ზურაბ კავთუაშვილის სტუმრობა რედაქციაში არ გამკვირვებია, წლების წინ სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობისას იგი გაზეთის აქტიური მხარდამჭერი (ახლაც ასე გრძელდება), გვერდში მდგომი პიროვნება იყო, თანაც ჩვენ პირადად, ერთმანეთთან ბავშვობაც გვაკავშირებს. ზურაბს რადაცნაირი სიხარული, ემოციები შევამჩნიე და საუბარიც დაიწყო:

– იცი, დღეს თითქოს გასაკვირი აღარ არის ქველმოქმედება, გაჭირვებულის დახმარება, გვერდში დგომა, მაგრამ ამას ყველაფერს თითქოს მასმედიის საშუალებით პირდაპირ თვალებში გვაჩერებენ – მე ესა და ეს სიკეთე გავაკეთეო, მაგრამ რაც მე ახლა გავიგე, ეს ქველმოქმედება, სიკეთის ქმნა კი არა, დამიჯერეთ, უფრო მეტია. ახლახანს ჩვენმა სამსახურმა გეგმიური შემოწმება გააკეთა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ და მოლოდინს გადააჭარბა იქ ნანახმა. მე არ მიკვირს, რომ სპორტს ასეთ დიდ პატივს სცემენ საქართველოში, კონკრეტულად – საგარეჯოში, მაგრამ ამდენ კარგ საქმეს აკეთებდე ჭიდაობის, საერთოდ, სპორტის განვითარებისათვის, არ ვიცი, ეს უკვე საოცარია. არ მეგულება ასეთი გამართული სპორტდარბაზები, სექციები, ამდენი ხელის შეწყობა სპორტისათვის. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი მუნიციპალიტეტის ყოფილი და ახლანდელი ხელმძღვანელების დიდი მხარდაჭერაა, მაგრამ თავად ყოფილი სპორტსმენებისგან ამდენი კეთილი საქმის კეთება, მერწმუნეთ, ამაში ყველა მუნიციპალიტეტს გადავაჭარბებთ. და ისიც, რომ სპორტგაერთიანების უფროსი თავად, თვითონ საკუთარი შესაძლებლობებით იხარჯება, ესეც საოცარია. მე ერთხელ გამიგია და ვიცი, რომ მწვრთნელმა ვახტანგ ბალავაძემ ლევან თედიაშვილში დიდი პოტენციალი აღმოაჩინა მომავალი გამარჯვებისა, ხელი მოჰკიდა, თავისი ოჯახის წევრად მიიღო და ყველანაირად ხელი შეუწყო მის შემდგომ სპორტულ განვითარებას. ასეთი რამ ახლა ვიხილე – სპორტგაერთიანების დირექტორთან გიორგი მაისურაძესთან ოჯახში სამი და ზოგჯერ მეტი ძიუდოისტი გოგონა ცხოვრობს, ის სამი კი მუდმივად და აგერ, უკვე წელიწადზე მეტია. გიორგი მაისურაძეს ამისთვის არავისთვის არ უთხოვია არაფერი – უბრალოდ, ნახა გოგონების საყოფაცხოვრებო პირობები, დარწმუნდა მათ სურვილში – მაინცდამაინც საგარეჯოში უნდათ სექციაში წვრთნები და სამივე თავის სახლში შვილებად მიიღო. მე კეთილი შურით მშურს მისი და მისი მეუღლის – ისინი ღვთივსათნო საქმეს აკეთებენ და არც არავისგან არაფერს ითხოვენ, არ მოელიან, გარდა ამ სამი გოგონასი და მათი თანაგუნდელების მიერ მოპოვებული წარმატებებისა. და ამ ამბავს ის არასოდეს აპიარებს. მაგრამ ძალიან დიდი სურვილი გამიჩნდა, რატომ არ უნდა გაიცნოს მისი ოჯახის კეთილი საქმეები ჩვენმა მოსახლეობამ, იქნებ სხვასაც გაუჩნდეს ასეთი სურვილი, იქნებ სხვამაც, კონკრეტულმა პიროვნებამ კონკრეტულ მოზარდზე აიღოს „შეფობა“, არა აქვს მნიშვნელობა, ის სპორტსმენი იქნება თუ მომავალი ექიმი, იურისტი. ჩვენ ვეცნობით ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების წარმატებებს, გვეკავს „ეტალონის“, სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო კონკურსებში გამარჯვებულები, სასკოლო ოლიმპიადებში წარმატებულები, მათ მზრუნველობა და ხელის შეშველება სჭირდებათ...

ჩვენი მუნიციპალიტეტის გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ დაიწერა ჩვენი ძიუდოისტი გოგონების წარმატებების, მათი მწვრთნელის ქალბატონ ლუდმილა ფერაძის საქმიანობის შესახებ და კარგი იქნება თუ კიდევ დავუბრუნდებით მათი საქმიანობის გაცნობას.

ჩვენც, რედაქციის თანამშრომლები ვეთანხმებით ბ-ნი ზურაბის სიტყვებს და ამჯერად რუბრიკის „ვალი გაწევს, კვალი დაგრჩეს“, გთავაზობთ *აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორ* **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ (ᲒᲘᲐ) ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ** საუბარს. როგორც ყოველთვის, გიორგი ახლაც მხოლოდ სპორტსმენებსა და საერთოდ – სექციის შესახებ ისაუბრებს, ნაკლებად საკუთარ თავზე და ამიტომაც კითხვა-პასუხისას აქცენტს სპორტგაერთიანების გოგონათა ძიუდოს სექციის სპორტსმენთა მუშაობასა და მიღწევებზე ვაკეთებთ, იმ სექციისას, რომლის მწვრთნელიც ლუდმილა ფერაძეა.

ცნობისათვის: ლუდმილა ფერაძე თბილისელია, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი და საქართველოს სპორტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტი. წლების განმავლობაში ბიოლოგიას ასწავლიდა თბილისის 63-ე საჯარო სკოლაში, ბოლო დროს კი სპორტისა და საგზაო მოძრაობის დისციპლინას. იგი 10 წლიდან ძიუდოს მისდევს. უფროსი ვაჟი რაგბისტია, გოგონა – 15 წლის თათა – ძიუდოისტი. ქალბატონი ლუდმილა ძიუდოს მწვრთნელი და სპორტის ამავე სახეობის მსაჯია, ამასთან, ის პირველი ქალბატონია, როგორც მწვრთნელი და მსაჯი ჭიდაობა სამბოშიც.

– ბატონო გიორგი, ბევრზე ბევრი საამაყო აქვთ დღეს საგარეჯოს სპორტსმენებს. უამრავი გამარჯვებებით გვაკვირვებენ, გვახარებენ და გვაამაყებენ. თითქოს აღარც გვაკვირვებს მსოფლიო ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები, მაგრამ უკანასკნელ ხანს, რამაც გაგვაოცა, იყო გოგონათა ძიუდოს სექციის გახსნა, ჩამოყალიბება და მათი წარმატებები. ქალთა ძიუდო გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ, როგორც ასეთი, ჩვენთან აღარ ყოფილა. ახლა კი... ისინი ხან ბათუმში, ბაკოში, ერევანში, თურქეთში, თავად თბილისში გვაკვირვებენ თავიანთი წარმატებებით...

– დიახ, საკმაოდ სანაქებო გოგონები გვყავს. ისინი ტოლს ვაუკაცებსაც არ უდებენ. 2014 წლის თებერვლის I კვირიდან დაიწყო სექციამუშაობა. ამ დროს მასში მხოლოდ 11 გოგონა იყო გაერთიანებული. ერთ თვეში მათი რიცხვი უკვე 17-მდე გაიზარდა. საინტერესო იყო მათი პირველი სპორტული „ნათლობა“. 2 მარტს, სოფელ პატარა ჩაილურში გამართულ სახალხო დღესასწაულ „ბერიკაობაზე“ გოგონებმა ჯერ გააკვირვეს, შემდეგ კი აღფრთოვანეს და და დიდი ხნის სალაპარაკო მისცეს მხილველებს – მარიამ კოხტაშვილმა,ხატია მინდიაშვილმა, ხათუნა თვაურმა, ნელი, ნინო, სალომე გულისაშვილებმა, ვარდიკო ბუჩაშვილმა. ამ დღეს მათ მართლაც შეძლეს ის, რაც მონდომებას, მუდამ საწვრთნელ რეჟიმში ყოფნას და მიზანდასახულობას შეუძლია. გოგონებს მოტივაცია აუმაღლა იმ ყურადღებამ, რასაც ჩვენი გაერთიანება და საზოგადოება მათ მიმართ იჩენდა და იჩენს დღემდე. საგარეჯოელმა ქალბატონმა თამარ ქურდოვანიძემ ჩვენს ძიუდოისტ გოგონებს 5 კიმანო აჩუქა.

საინტერესო იყო ქართულ-ებრაული მასტერკლასიც, რომელიც ჩვენი ქალაქის სპორტდარბაზში ჩვენი გაერთიანების და ისრაელის ვაჟ და გოგონათა ერთობლივი ვარჯიშით ჩატარდა. აქ იყო გაცნობა ორი ქვეყნის ძიუდოს ნორჩ წარმომადგენელთა სპორტული მიღწევების, აზრების, გამოცდილების გაზიარება, პრაქტიკული ვარჯიში.

ადვილი არ იყო, სულ ორიოდე თვის ნავარჯიშევი გოგონების ბაქოში აზერბაიჯანელი გენერლის აზი ასლანოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მიღება. აქ, ამ საერთაშორისო ტურნირზე ერთმანეთს ერკინებოდნენ თურქმენეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, ირანის, , თურქეთის, იტალიის, სლოვენიის, რუსეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს ძიუდოისტი ვაჟები და გოგონები. მინდა გითხრათ გასაოცარი რამ – ჩვენი გაერთიანების ბიჭებიდან ვერც ერთმა ვერ ისახელა თავი. გოგონებიდან კი ნელი გულისაშვილმა დამაჯერებლად იასპარეზა და III ადგილი მოიპოვა. ნელი ამ ასპარეზობაში +70 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, მისი და ნინო – 63 კგ წონით კატეგორიაში. ნელი ფინალში სლოვაკ და აზერბაიჯანელ ძიუდოისტებს შეხვდა. მართალია, მათთან წააგო, მაგრამ მოუგო თურქს.

ამავე ტურნირზე თურქმენი ძიუდოისტი გოგონების მწვრთნელი დაინტერესდა ჩვენი გოგონების საჭიდაო ილეთებით და განცვიფრდა, როცა გაიგო, რომ მისმა 7 წლის ნავარჯიშევმა მოსწავლეებმა შედეგს ვერ მიაღწიეს და სულ ორიოდე თვის ნავარჯიშევმა გოგონებმა თავიანთი შესაძლებლობები აჩვენეს.

ბათუმში, გასული წლის ივლისში, გოგონათა შორის ძიუდოში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც ქართველებთან ერთად თურქი ძიუდოისტი გოგონებიც იღებდნენ მონაწილეობას, ჩვენი გაერთიანების ძიუდოს გოგონათა სექციიდან 20 მოჭიდავე იღებდა მონაწილეობას. აქ 2000-2001 წლიანთა ჯგუფში მონაწილეობდა 2002-2006 წლიანები, რადგან ჩვენს სექციას უფროსი ასაკის გოგონები არ ჰყავს. საოცარი იყო ის,რომ მიუხედავად ასეთი დიდი ასაკობრივი სხვაობისა, ჩვენმა გოგონებმა ყველას გასაკვირად კარგი შედეგები აჩვენეს. ოცმა გოგონამ 16 სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვა. ამ 16-დან 2 ოქროა, 3 – ვერცხლი, 11 კი ბრინჯაო. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ სალომე ბლიაძე (40კგ წონითი კატეგორია) და ციცინო ბლიაძე (32კგ). გარდა ამისა, სალომე ბლიაძემ ტურნირის მეორე დღეს, უკვე ოქროს სინჯის მედლის მფლობელმა ტურნირში კვლავ მიიღო მონაწილეობა და ახლა ვერცხლის სინჯის მედალი აიღო. ასევე, ვერცხლის მედლები ერგოთ სალომე არაბულსა და მარიამ შულიაშვილს. აღნიშნულ ტურნირში სხვადასხვა წონით კატეგორიაში ბრინჯაოს სინჯის მედლების მფლობელები გახდნენ გიორგიწმინდის ძიუდოს სექციის მოსწავლეები მარიამ ხოსტაშვილი, მაია მეკოკიშვილი, კაკაბეთის ძიუდოს სექციის მოსწავლე მარიამ ჭიკაძე, ხოლო საგარეჯოელთაგან: მარიამ კოხტაშვილი, ხათუნა თვაური, ანა ასანიშვილი, თინანო რევაზიშვილი, ხატია მინდიაშვილი, ნელი გულისაშვილი.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲚᲣᲓᲛᲘᲚᲐ ᲤᲔᲠᲐᲫᲔ ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ

გასული წლის ოქტომბერში თბილისში გამართულ საქართველოს პირველობაზე ძიუდოში 2000-2001 წელში დაბადებულ გოგონათა შორის უძლიერესები იყვნენ თავიანთ წონით კატეგორიაში თინანო რევაზიშვილი და სალომე ბლიაძე. მეორე საპრიზო ადგილებისა და ვერცხლის მედლების მფლობელები გახდნენ ხატია მინდიაშვილი, მარიამ ლაფაჩიშვილი, სალომე გულისაშვილი, ხათუნა თვაური. რაც შეეხება ბრინჯაოს პრიზიორის სახელის მოპოვებას, ეს მარიამ კოხტაშვილმა და ანა ასანიშვილმა შეძლეს. გოგონები აქ თავიანთზე ორი წლით უფროსებთან იბრძოდნენ გამარჯვების მოსაპოვებლად. თავიანთი სპორტული შესაძლებლობებით და ილეთებით მათ მოხიბლეს საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქვეხიშვილი და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი თამაზ კარიაული. სწორედ ამ შედეგებით ჩვენი გოგონები საქართველოს ნაკრებში აიყვანეს.

საამაყო იყო გასულ წელს, ოქტომბრის დასაწყისში სომხეთის დედაქალაქში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირი 1997-98-99 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზა საგარეჯოს ძიუდოს სექციის მოსწავლემ ნატალია ყიფშიძემ და 4 შეხვედრიდან ოთხივე წარმატებით დაასრულა. საამაყოა, რომ ამ პატარა გოგონამ, გამარჯვების კვარცხლბეკზე ასულმა სომხეთში საქართველოს ჰიმნი ააჟღერა.

ნატალია გასული წლის შედეგებით საქართველოს ჩემპიონია ძიუდოში ჭაბუკ-გოგონათა შორის, ევროპის თასზე II პრიზიორი, კიევის, ერევნის, ევროპის თასებზე I ადგილი აქვს დაკავებული, ევროპის პირველობის V პრიზიორია ძიუდოში. იგი საქართველოს გოგონათა ნაკრების ფავორიტ სპორტსმენადაა დაყენებული ბავშვთა თბილისის 2015 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე.

გასული წლის ნოემბერში საგარეჯოში გამართულ სარეიტინგო ტურნირში კარგი მაჩვენებლებით მოიწონეს თავი ჩვენმა ძიუდოისტმა გოგონებმა. 40 კგ წონითი კატეგორიაში ტურნირის ჩემპიონი გახდა სალი ბლიაძე, 44 კგ წონითი კატეგორიაში – ნატალია ყიფშიძე. II ადგილი დაიკავა 40 კგ წონითი კატეგორიაში მარიამ ლაფაჩიშვილმა, ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ანა ასანიშვილი (40კგ), 44 კგ წონითი კატეგორიაში II ადგილი დაიკავა მარიამ კოხტაშვილმა, III ადგილი – ხათუნა თვაურმა, ხოლო თინანო რევაზიშვილი (52 კგ წონითი კატეგორია) და მარიამ შუდლიაშვილი (70კგ) ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ. სწორედ აქედან შეირჩნენ თბილისის ზაფხული-2015 წლის ოლიმპიადის მონაწილენი.

ჩვენმა ძიუდოისტმა გოგონებმა გასული წლის მაისში წეროვანში გამართულ საქართველოს პირველობაზე მაღალ შედეგებს მიაღწიეს და მინდა გითხრათ, რომ გასული წლის სულ 10 თვის ვარჯიშების შედეგად ჩვენმა ძიუდოისტმა გოგონებმა ძიუდოს ქართველი გულშემატკივრების დიდი ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურეს.

რაც შეეხება 2015 წელს მიღწეულ წარმატებებს. აქაც მართლაც, რომ შესაშური გამარჯვებები იზეიმეს მათ. მარტში საგარეჯოში გამართულ საქართველოს პირველობაზე 40კგ წონით კატეგორიაში I ადგილი სალომე ბლიაძემ დაიკავა, ასევე, (44 კგ წონითი კატეგორია) პირველი ადგილი დაიკავა მარიამ კოხტაშვილმა. მესამე ადგილები მოიპოვეს სალომე გულისაშვილმა და სალომე არაბულმა (36 კგ წონითი კატეგორია), ანა ასანიშვილმა (40 კგ წონითი კატეგორია), – III საპრიზო ადგილი, 44 კგ წონითი კატეგორიაში III საპრიზო ადგილი ხათუნა თვაურმა , III საპრიზო ადგილი – ხატია მინდიაშვილმა (48 კგ წონითი კატეგორია) და 52 კგ წონითი კატეგორია – თინანო რევაზიშვილმა, რომელმაც დაამარცხა საბერძნეთის წარმომადგენელი, წარმოშობით ქართველი ანა კალაძე.

საამაყო გვაქვს თინანო რევაზიშვილისა და მარიამ კოხტაშვილის მიღწევებიც. თინანომ ანტალიაში ევროპის თასის გათამაშებაში კარგად იჭიდავა, მარიამმა კი ერთ წელიწადში საქართველოს პირველობაზე 4 ფინალის ჭიდაობიდან 3 ოქროთი დაამთავრა.

– ამჟამად რამდენი ძიუდოისტი გოგონაა სექციაში და რა ამოცანები აქვთ წინ?

– ამჟამად სექციაში 35 გოგონა ვარჯიშობს. სულ ახლები არიან ელენე შიოშვილი, ნინო ძაბილაშვილი, ანა ბერიძე, სოფო და ნუცა თათრიშვილები, თათა ღოღელიანი, ლილე ხარანაული და როგორც წინასწარი მონაცემებით გახდა ცნობილი, ახალი სასწავლო წლიდან უფრო მეტი მოსწავლე გვეყოლება.

ამ დღეებში ჩვენი მოსწავლე ნატალია ყიფშიძე თურქეთში, ტრაპიზონში გავაცილეთ ორკვირიან შეკრებაზე, სადაც საქართველოს ძიუდოისტ გოგონათა ნაკრები (მწვრთნელი გია თენაძე) გადის წინასწარ მოსამზადებელ წვრთნებს. აქედან ნაკრები 1 ივლისს ბულგარეთში გადავა და შეუერთდება ვაჟთა გუნდს ევროპის პირველობას. ნატალია ყიფშიძეზე დიდ იმედებს ამყარებენ საქართველოს ძიუდოს მესვეურნი და გულშემატკივრები. ნატალია თავის თანამებრძოლებთან ერთად ბულგარეთიდან პირდაპირ თბილისის ოლიმპიადაზე ჩამოვა და ახლა აქ გამოსცდის ძალებს.

თქვენ ჩვენი ძიუდოისტი გოგონების სამომავლო გეგმებზე და ამოცანებზე მკითხეთ. გიპასუხებთ, რომ ყველა მოტივირებულია გამარჯვებისკენ. აქ ისინი გულისხმობენ არა მარტო გუნდურს, არამედ ინდივიდუალურსაც. მათ დიდი სურვილი აქვთ საგარეჯო არა მარტო საქართველოში ასახელონ, არამედ საზღვარგარეთაც გაიტანონ მისი სახელი.

– საამისოდ ყველა პირობას უქმნით...

– დიახ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირებისგან ჩვენს სპორტულ გაერთიანებას ყურადღება და მზრუნველობა არასოდეს მოჰკლებია. ჩვენს ძიუდოისტ გოგონებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი საამისოდ: გვაქვს შესანიშნავი სპორტული დარბაზი, გათბობის სისტემით, ინვენტარით, საშხაპით. მოგეხსენებათ, სკოლებში სასწავლო წელი დამთავრდა. ასე,რომ გოგონები გამოთავისუფლდნენ სასწავლო პროცესებიდან, მათ მეტი დრო აქვთ ფიზიკური ვარჯიშებისათვის. ამიტომ ჩვენ სპორტდარბაზში ორჯერადი ვარჯიში დავუნიშნეთ ჩვენს გოგონებს. ამასთან, გავითვალისწინეთ ყველაფერი და მათი ერთჯერადი კვება მოგვიწევს აქვე დარბაზში,რისთვისაც ჩვენ აქ გავაკეთეთ კვების ბლოკი. მათი ერთჯერადი კვების ხარჯები მთლიანად აიღო საგარეჯოელმა, სპორტის დიდმა ქომაგმა და გულშემატკივარმა, ქველმოქმედმა, შპს „ჭიაურელის“ დირექტორმა მერაბ ჭიაურელმა. მას ვარჯიშში ჩვენი სპორტსმენი გოგონების ხელშესაწყობად შემოაქვს ბურღულეული, ცხიმი, ქათმის ხორცი და სხვა კვების პროდუქტები, რისთვისაც დიდ მადლობას იმსახურებს და საერთოდ, მინდა სიამაყით და დიდი მადლიერებით გითხრათ, რომ ***ჩვენი გაერთიანების სპორტსმენებს ჰყავთ ისეთი სპონსორები,*** რომლებიც მართლაც რომ უდალატოდ დგებიან ჩვენს გვერდით და გასაოცარი, შესაშური თანადგომით გვიმაგრებენ წარმატებებისაკენ მიმავალ გზას. ***ამისთვის მათ დიდ მადლობას ვუხდი გაერთიანების მრავალრიცხოვანი მოსწავლეების, მათი მშობლების, თანამშრომლების სახელით და ამჯერად ულრმესი მადლობა მერაბ ჭიაურელს.***

– გიორგი, ჩვენ არაფერი გვითქვამს შენი „ოჯახის წევრებზე“, რომლებიც შენს ოჯახში წელიწადზე მეტია ცხოვრობენ. ჩვენ დიდი ინტერესით ვუყურებთ ტელეარხ „იმედის“ პროგრამას „იმედის გმირები“, სადაც ადამიანები თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე დგანან, აკეთებენ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-5 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ვალი გაწევს _ კვალი დაგრჩეს!

„ის ჰრჩება მხოლოდ ქვეყანას, რაც რომ ჩვენგანმა აკეთა“

დასასრული

იმას, რაც მათ სულიერ კმაყოფილებას მოუტანთ და ამას ისინი ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმად, ცხოვრების წესად მიიჩნევენ, არადა, ხშირად ისინი არაორდინალურნი არიან. წარმოიდგინეთ, ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთი სამსახურის უფროსი ზურაბ კაკუბავშვილი ისეთი აღფრთოვანებული შემოვიდა ჩვენთან რედაქციაში, რომ სიტყვები არ ჰყოფნიდა გამოეხატა გაოცება, აღფრთოვანება, სიხარული და ემოციები – სპორტგაერთიანების თავკაცთან სამი მოწაფე ოჯახურ სიმყუდროვეში ცხოვრობს და მათ პირობების შექმნაზე მხოლოდ გიორგი და მისი მეუღლე – მაია ირჯებიანო... მე პირადად, ბატონი ზურაბის ამ ჟესტით დავრჩი აღფრთოვანებული – მან დაინახა და შესაბამისი შეფასება და მადლიერება გამოხატა...

– როგორ გითხრათ, მე მგონი ეს ჩვეულებრივი ცხოვრების წესია ქართველი კაცისათვის. ჩემი ქალიშვილი თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს, მას ყველა პირობა აქვს შექმნილი ნორმალური ცხოვრებისათვის. ჩემი ვაჟი – საფრანგეთში ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად. დიდია ჩემი მონატრება მათ მიმართ, მაგრამ... ჩვენ, მე და ჩემი მეუღლე – მაია მარტო დავრჩით აქ. გვაქვს დიდი სახლი, შინა მეურნეობა, მაქვს ფერმა, გვაქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ ვიზრუნოთ მომავალი თაობის აღსაზრდელად. ნატალია ყიფშიძეს, სალომე ბლიაძეს (თბილისელები არიან) და ანა ბერიძეს (ახალსოფლიდანაა) დიდი სურვილი ჰქონდათ მაინცდამაინც საგარეჯოს სპორტდარბაზში ევარჯიშათ. ისინი მთელ დროს მგზავრობაში დახარჯავდნენ. ამიტომ მათ შევთავაზე ჩემს ოჯახში ცხოვრება, რაზედაც სიხარულით დამთანხმდნენ, რადგან სკოლაშიც აქ ივლიდნენ და თავიანთ საგარეჯოელ თანატოლებთან განუყრელად იქნებოდნენ. ამ ნაბიჯმა გაგვიმართლა, გოგონები ძალიან დამეგობრდნენ და მარტო სამ გოგონაზე არ მაქვს საუბარი. ისინი სხვებთან ერთად ხშირად ჩემს სახლში იკრიბებიან, ზოგჯერ ღოღელიანი, ხარანაული და ყენიაც ჩვენთან რჩებიან. ეს დიდ სიხარულს ანიჭებს მათ და მთელ გუნდს – არსად მიეჩქარებათ, ტრანსპორტზე არ არიან დამოკიდებული, სწავლისთვის განკუთვნილი დრო არ ეხარჯებათ უმიზნოდ. შეეჩვივნენ საგარეჯოს, საგარეჯოელებს და თითქმის საგარეჯოს ორგანიზმიც გახდნენ. ვფიქრობ, ეს დიდად შეუწყობს ხელს მათ შემდგომ წარმატებებს და რაც მთავარია, მათზე „განპირობებული“ სპორტდარბაზი მათი სულების შეკავშირებასაც იწვევს. აქ ჩვენ გამოვათავისუფლეთ ოთახები არა მარტო კვების ბლოკისთვის, გოგონებს აქ მთელი ზაფხულის პერიოდში ექნებათ საშუალება – ივარჯიშონ, გაერთონ, დაისვენონ. ისინი სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიებების მოწყობასაც გეგმავენ – შეხვდებიან გამოჩენილ საგარეჯოელ სპორტსმენებს, გაიცნობენ მათ ბიოგრაფიებს, ცხოვრების გზას, წარმატებებს. ასევე, შეხვდებიან საგარეჯოს ინტელიგენციის წარმომადგენლებს. მათთვის აქ მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშების ადგილი არ იქნება, ისინი აქ ფიზიკურად და სულიერად განვითარდებიან.

– უახლოეს მომავალში რას გეგმავთ?

– გეტყვით, გაგანდობთ ჩვენს მიზანს. როცა ნატალია ყიფშიძეს თურქეთში მიმავალს თბილისის აეროპორტში ვაცილებდი, ნატალია დამემშვიდობა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მოტრიალდა, მომიახლოვდა და მითხრა: ბულგარეთიდან თუ ჩემპიონი დავბრუნდი, ჩემი გუნდის გოგონებს თუ დამახვედრებ აეროპორტშიო?! ეს ისეთი ნათქვამი იყო, ვიცი, რომ ნატალია გაიმარჯვებს და გუნდის გოგონები კი არა, საგარეჯოელი გულშემატკივრებიც დახვდებიან მას აეროპორტში.

– მაშ, წარმატებები, გამარჯვებები ვუსურვოთ ჩვენს ნატალიას და მისი გუნდის წევრებს.

– ღმერთმა გისმინოთ!

ჭადრაკი

ნიკა კევლიშვილი ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზობს

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ნორჩ მოჭადრაკეთა მიერ ქვეყნისა თუ საერთაშორისო დონის შეხვედრებში მოპოვებული წარმატებების შესახებ ჩვენს გაზეთს არაერთხელ მიუწოდებია ინფორმაცია ბრძენთა თამაშის გულშემატკივრისთვის. საჭადრაკო დაფების „დუელების“ ერთ-ერთი ასეთი რაინდია საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე ნიკა კევლიშვილი, რომელიც მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძის „ხელდასხმით“ 7 წლის ასაკიდან მისდევს სპორტის ამ პოპულარულ სახეობას და თამაშის დაწყების პირველივე წლიდან იმკის წარმატებებს. პირველი მისი შედეგი კახეთის ჩემპიონობა იყო, რომელიც 7 წლის ასაკში იზეიმა. სხვადასხვა ასაკში საქართველოს პირველობის რამდენიმეგზის პრიზიორი, შარშან თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურნირში გახდა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასის მფლობელი, ხოლო ფოთში გამართულ ანალოგიურ ტურნირში დაისაკუთრა ნანა ალექსანდრიას (10 წლის ასაკში) თასი. ნიკამ, ასევე, არავის დაუთმო წელს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართული საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თასი თავისზე უფროს – 12 წლიანთა ასაკში. აღნიშნულ წარმატებებთან ერთად ჩვენმა 11 წლის მოჭადრაკემ უკვე ორჯერ მოასწრო ჩერნიგოვიასა და ბათუმში გამართული ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობის მიღებაც.

მორიგი წარმატება იზეიმა და უკვე მესამედ მოიპოვა ევროპის პირველობაზე თამაშის უფლება ნიკამ ივლისში თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე, სადაც იგი 12 წლიანთა ასპარეზობაში იღებდა მონაწილეობას.

აქ 9 ტურიდან 5 მოგებითა და 4 ყაიმით, მან დააგროვა 7 ქულა, რითაც II ადგილი და ევროპის ტურნირის საგზური მოიპოვა.

– ნიკას ეს წარმატება მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, – თქვა ჩვენთან საუბარში მისმა მწვრთნელმა ირაკლი ქვლივიძემ, – მას უკვე იმდენი ცოდნა და გამოცდილება აქვს, რომ თამამად შეუძლია იბრძოლოს საპრიზო ადგილისათვის ნებისმიერი დონის შეხვედრაში, რაც მან ამ ტურნირზეც დაამტკიცა. საერთოდ, ეს ბოლო წელია იგი სტაბილურად გამოდის თამაშებზე. არც ჭადრაკის ფედერაციის თასზე და არც ამ ტურნირზე მას არც ერთი წაგება არ აქვს. აშკარა უპირატესობით მიჰყავდა მას პარტიაც პირველ ადგილზე გასულ ნიკოლოზ კაჭარავასთან, მაგრამ ბოლო წუთზე დაშვებული შეცდომის გამო კაჭარავამ შეძლო მასთან ყაიმზე შეთანხმება და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის, საგარეჯოელებისათვის არც ევროპის ჩემპიონატის საგზურია ურიგო. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ნიკა არის საჭადრაკო აკადემიის მოსწავლე, რაც კიდევ უფრო აამაღლებს მისი ცოდნის დონეს და ახალ პერსპექტივებს გაუჩენს უკეთესი შედეგების მისაღწევად.

ნიკა კევლიშვილისა და ჩვენი საგარეჯოელი საჭადრაკო სკოლის წარმატებები (წელს საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ: ნინო ესაიაშვილი (7წ) და ლევან დალბაშვილი (10წ) (ორივეს მწვრთნელი ე. ფარეშიშვილი) მნიშვნელოვნად განაპირობა იმ ყურადღებამ და თანადგომამ, რასაც აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ხელმძღვანელი გიორგი მაისურაძე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი, გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლაშა იაკობაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საგარეჯოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული იჩენენ საგარეჯოში ჭადრაკის განვითარების მიმართ, რისთვისაც მწვრთნელები და მოჭადრაკეები მადლობას უხდიან მათ.

იმედია ჩვენი პატარა მოჭადრაკე კარგად გამოიყენებს ევროპის ჩემპიონატზე წელს მოპოვებულ ამ შესაძლებლობას და ამ მესამე ცდაზე თავის ქართულ „ჩინ-მედლებს“ ევროპულ ჯილდოსაც შემატებს.

სპორტი

ძიუდო

როინ ყორღანაშვილის ხსოვნის ტურნირზე

საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტული დარბაზის საჭიდაო არენაზე ჩატარდა ცნობილი საგარეჯოელი მოჭიდავისა და მწვრთნელის როინ ყორღანაშვილის ხსოვნის ტრადიციული ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში ჭაბუკებს შორის. ტურნირში საგარეჯოელი ფალავნების გარდა მონაწილეობდნენ: გორის, მარტყოფის, თბილისის, გურჯაანის, თელავის, ქარელის მოჭიდავეები. ასპარეზობა ორ ასაკობრივ ჯგუფში, 11 წონით კატეგორიაში ჩატარდა. იგი 23 კგ წონითი კატეგორიის ფალავნებმა გახსნეს, სადაც ყველა საპრიზო ადგილი საგარეჯოელმა მოჭიდავეებმა დაიკავეს. კერძოდ, აქ ჩემპიონი გახდა შოთა ბაჩოშვილი, მეორე ადგილი დაიკავა თამაზ მღვდელაძემ, გიორგი ჭინჭარაძემ და გოგა ლაფერიშვილმა კი III ადგილები გაიყვეს.

იგივე განმეორდა მომდევნო 27 კგ წონითი კატეგორიაში, სადაც I ადგილი დაიკავა დავით კევლიშვილმა, II ადგილზე გავიდა ვახტანგ ჭიაბერაშვილი, მესამეზე კი ლუკა ჭინჭარაძე და ლევან ღრეული.

30 კგ წონითი კატეგორიის გამარჯვებულთა ოთხეულიც საგარეჯოელი მოჭიდავეებით დაკომპლექტდა. აქ I ადგილი დაიკავა თენგო მაისაშვილმა, მეორე ადგილზე გავიდა გიორგი სონიძე, III-ზე გიორგი ზუკაკიშვილი და მახარე გულბანი.

34 კგ წონითი კატეგორიაში საგარეჯოელებს ჩემპიონი ადარ ჰყოლიათ, სამაგიეროდ II ადგილი აქ წილად ხვდა ნიკა ჩოკოშვილს, III – თენგიზ ზირაქიშვილს.

38 კგ წონითი კატეგორიაში ასპარეზობა კვლავ საგარეჯოელთა უპირატესობით აღინიშნა. აქ I ადგილი დაიკავა მინდია ბაბაკიშვილმა, II – იაგო გულბანმა, III – გიორგი დურიშვილმა.

42 კგ წონითი კატეგორიაშიც სამივე საპრიზო ადგილის მფლობელი საგარეჯოელები გახდნენ. აქ I ადგილი დაიკავა გიორგი ოსეფაშვილმა, მეორე – დავით მეშველიანმა, III – ვანო ჯაჯანიძემ და ომარ იობაშვილმა.

46 კგ წონითი კატეგორიაში ნოდარ ქურხულმა II ადგილი დაიკავა, მესამე – ვასილ მუშიაშვილმა.

50-46 კგ წონითი კატეგორიაში III ადგილებზე გავიდნენ გუგა სიბოშვილი და როინ ყორღანაშვილი.

55 კგ წონითი კატეგორიაში კვლავ უძლიერესები იყვნენ საგარეჯოელი მოჭიდავეები. აქ ჩემპიონობისათვის ბრძოლა ორ ჩვენებურს შორის გაიმართა, სადაც ჩემპიონი გახდა ამირან დარბაისელი, ხოლო მეორე ადგილი სოსო დურიშვილმა დაიკავა.

60 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი კვლავ ჩვენებური მოჭიდავე გიორგი მღებრიშვილი გახდა. მესამეზე – კი ლევან ხაბარელი გავიდა. საგარეჯოელი ძიუდოისტები მედლების გარეშე დარჩნენ 66 კგ წონით კატეგორიაში, სადაც მხოლოდ ერთი მოჭიდავით იყვნენ წარმოდგენილი. სამაგიეროდ, ლაშა მათიაშვილი ჩემპიონი გახდა 73 კგ წონით კატეგორიაში. დანარჩენ 81 და 81+ კგ წონითი კატეგორიებში საგარეჯოელებს არ მიუღიათ მონაწილეობა და შესაბამისად არც საპრიზო ადგილი არ დაუკავებიათ.

მკლავჭიდი

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულზე მეოცნებე

ერთი ჩვეულებრივი, მშრომელი კაცის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. სოფელს უყვარს და აფასებს მათ ოჯახს. ასე, რომ არ იყოს, ოჯახის უფროსს, ნოდარ ზირაქაშვილს, წინა მოწვევის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხმას არ მისცემდა და სოფლის წარმომადგენლის მანდატით არ ეყოლებოდა საგარეჯოს რაიონის საკრებულოში. თვითონ ჯერ მხოლოდ XI კლასშია – ბოგდანოვკის, იგივე მზისგულის საჯარო სკოლაში. მამამისს – ნოდარ ზირაქაშვილს თუ სოფელი და რაიონი იცნობს, მას – ირაკლი ზირაქაშვილს უკვე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთაც იცნობენ. ირაკლი ახლახანს, ივნისში მონაწილეობას იღებდა ბულგარეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატში მკლავჭიდში. იგი საქართველოს ნაკრების წევრი და საქართველოს სამგზის პრიზიორიცაა.

– მკლავჭიდი სპორტის ის სახეობაა, რომლის მიმდევრებიც საქართველოში ყოველთვის იყვნენ, მაგრამ, უბრალოდ, ყურადღება არ ექცეოდა, არ ფინანსდებოდა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივაც არსად ჩანდა, – მეუბნება ირაკლი, – ამ ათიოდე წლის წინ კი ძალიან სერიოზულად მოჰკიდა ხელი მის განვითარებას სპორტსმენმა ვახტანგ მუსელიანმა და მკლავჭიდის ფედერაციაც ჩამოაყალიბა. მკლავჭიდში საქართველოს ჩემპიონი ლევან საგინაშვილიც წარმოშობით ნინოწმინდელია. თქვენ კარგად გახსოვთ ბოგდანოვკელი ვანო ხარებაშვილის წარმატებებიც, მასზე ჩვენი რაიონის გაზეთშიც დაიწერა. სწორედ ვანომ დაგვაინტერესა მეც და ჩემი სოფლელებიც სპორტის ამ სახეობით. მე, პირადად, სამი წლის წინ გამიჩნდა ინტერესი და ინტენსიურად დავიწყე ვარჯიში. – კვირაში რამდენიმე დღე თბილისში, ისე აქ, ჩვენთან, სოფელში. იმედი მაქვს, რომ ჩვენი სოფლის ახალგაზრდები ირაკლი ხარებაშვილი, გიორგი ხარებაშვილი (ეს ვანოს ძმაა), ირაკლი აგულოვი, ფირუზ ზირაქაშვილი, რუსლან ვოროშილოვი, გიორგი აბესაძე განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწევენ.

– რა არის საჭირო, რომ წარმატებებს მიაღწიოს სპორტსმენმა? – ვეკითხები ირაკლის.

– არც ძალიან ბევრი და არც ძალიან ნაკლები, – მპასუხობს, – მან უნდა იცოდეს რა უნდა, რისთვის ემზადება, განსაზღვროს მიზნის საბოლოო შედეგი რა შეიძლება იყოს, დაისახოს მიზანი და იბრძოლოს მის მისაღწევად. ასეთ ადამიანზე ამბობენ – მიზანმიმართულიაო. ამასთან, მას ნებისყოფა, თანაც მტკიცე ნებისყოფა უნდა ჰქონდეს, ჰქონდეს დისციპლინა, გამოკვეთილი დღის რეჟიმები, იყოს მეგობრული, კომუნიკაბელური, კონტაქტური, საკუთარ თავში ჩაკეტვა მავნებელია ადამიანისათვის და კიდევ, მწვრთნელი მონდომებული უნდა იყოს.

დასასრული მე-6 გვერდე

ᲛᲙᲚᲐᲕᲭᲘᲚᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲖᲔ ᲛᲔᲝᲪᲜᲔᲑᲔ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

მე სამი წლის წინ „აღმოვაჩინე“ ჩემში ეს შესაძლებლობა და ვანო ხარებაშვილს მივმართე დასაკვალიანებლად. ჯერ თეორიულ მასალას გვიხსნის მწვრთნელი, შემდეგ პრაქტიკულად გირებზე ვვარჯიშობთ. ზოგს ერთ ხელში აქვს ძალა, მე, მაგალითად, ორივე ხელით შემიძლია წარმატების მიღწევა. ბულგარეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატში ფინალში მარცხენა ხელით ქართველს მოვუგე, მარჯვენა ხელით რუსი „დავჯაბნე“. და ორი ოქროს სინჯის

მედალიც მოვიპოვე, – მეუბნება ირაკლი და მეტი დამაჯერებლობისათვის მედლებს მიჩვენებს.

სამომავლო გეგმებზე ვეკითხები. როგორც ჩანს, პროფესია ჯერ არ აურჩევია, ისე ბიოლოგია უყვარს საგნებიდან. კარგად სწავლობს. უფროსი დები უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. თავადაც მომავალ წელს აპირებს სწავლის გაგრძელებას. და რაც მთავარია, მიზნად აქვს დასახული – გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი მკლავჭიდში.

წარმატებები დაგბედებოდეს ირაკლი, ბულგარეთის ტურნირის მსგავსად!

ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ II ᲚᲘᲒᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ

ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის II ლიგის გათამაშება, რომელშიც, როგორც ცნობილია გასული წლიდან მონაწილეობას იღებდა საგარეჯოს სპორტგაერთიანების საფეხბურთო გუნდი „გარეჯი“. თუ რა შედეგებით დაასრულა საფეხბურთო სეზონი და რას გეგმავს გუნდი სამომავლოდ, ამის შესახებ გვესაუბრება ***„გარეჯის“ მთავარი მწვრთნელი*** **ᲠᲔᲖᲝ ᲮᲔᲑᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**.

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია „გარეჯს“ თქვენ სათავეში II წრის გათამაშების დასაწყისიდან ჩაუდექით. მანამდე იყო I წრე, სადაც გუნდის მთავარი მწვრთნელი გია ილაური გახლდათ. რისი გაკეთება შეძლო გუნდმა მისი თავკაცობით?

– თქვენ ასე თუ ისე ჩახედული ბრძანდებით გარეჯული ფეხბურთის ამბებში და იცით, რომ „გარეჯი“ სულ 1 წელია რაც საგარეჯოს სპორტგაერთიანების, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ძალისხმევითა და თანადგომით ჩამოყალიბდა. აღნიშნულ გათამაშებაში ჩაება. ყოველ ახალ საქმეს ახალი პრობლემები და მოსაგვარებელი საკითხები აქვს და მათ შორის „გარეჯსაც“. ფაქტიურად I წრე გუნდის ჩამოყალიბების პროცესი გახლდათ. ამის გამო ჩვენმა ფეხბურთელებმა გათამაშებაში მონაწილე 12 გუნდს შორის მხოლოდ XII ადგილის დაკავება შეძლო, რაც სრულიად არ არის გასაკვირი იმ პრობლემების ფონზე, რაც მაშინ გამოჩნდა.

– კი, ყველაფერი ეს გასათვალისწინებელია და ხმაურიანი განცხადებაც მახსოვს, რომელიც თქვენ გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშვნისას გააკეთეთ. კერძოდ მაშინ თქვენ განაცხადეთ, რომ გუნდი მაშინ II წრეში ხუთეულში შესვლას გეგმავდა. როგორ გაამართლეს თქვენმა ფეხბურთელებმა ეს დაპირება?

– II წრეში მწვრთნელებს (რეზო ხებრელაშვილი, გოგა მაისურაძე, დათო მაისურაძე) და ფეხბურთელებს ძალისხმევა და მონდომება არ დაგვიზოგავს, რომ ეს სიტყვა საქმედ გვექცია. გატარდა შესაბამისი ღონისძიებები და ალბათ ამას შევძლებდით კიდეც, რომ არა ზოგიერთი ხელისშემშლელი მიზეზი, რის გამოც, სულ რაღაც 1 ქულა დაგვაკლდა სატურნირო ცხრილის V ადგილის დასაკავებლად. ისე, რომ ჩვენ მხოლოდ VI ადგილის დაკავება შევძელით ლიგის გათამაშებაში. კერძოდ, II წრეში ჩვენი გუნდის ანგარიშზეა 8 მოგება, 4 ფრე და ორიც წაგება. ჩვენი გუნდის მოწადინებულ თამაშზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 5 თამაშში ზედიზედ ჩვენს ბომბარდირებს გატანილი აქვთ 24 გოლი, ხოლო ჩვენი თავდამსხმელი კოტე ლურსმანაშვილი 29 გოლით გათამაშების ბომბარდირებს შორის II ადგილზეა.

– გიგა ნორაკიძის სახელობის ტურნირში მონაწილე 2003-2004 წლიან ფეხბურთელთა შედეგების შესახებ რას გვეტყვით, რომელთა მწვრთნელები თქვენ და დათო მაისურაძე ხართ?

– ამ გუნდს თავისუფლად შეეძლო ამ ტურნირში საპრიზო სამეულის ნებისმიერი ადგილისათვის ბრძოლა, თუმცა ბავშვების ხშირმა ტრავმებმა ხელი შეგვიშალა ამაში და საბოლოოდ გუნდი IV ადგილზე გავიდა, რომელიც სულ რაღაც 2 ქულით ჩამორჩება წინა სამ ადგილზე გასულ გუნდს, სამაგიეროდ სპორტგაერთიანების ფეხბურთელებმა მოიგეს „კახეთის თასი-2015“ მინი ფეხბურთში (მწვრთნელები რ. ხებრელაშვილი, გ. მაისურაძე).

– გავიგეთ, რომ „სკოლბურთში“ მონაწილე ნინოწმინდის ფეხბურთელთა გუნდმა უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს ბათუმში გამართულ ფინალურ შეხვედრებში. თუ შეიძლება ორიოდ სიტყვით როგორი იყო მათთვის აქეთკენ მიმავალი გზა?

– საგარეჯოს სპორტგაერთიანების ეს გუნდი ძირითადად დაკომპლექტებულია ნინოწმინდაში მცხოვრები აღსაზრდელებით, რომელთაც მოიგეს რაიონული ტურნირი „სკოლბურთში“, შემდეგ კი კახეთის რეგიონული ტურნირი ყვარელში, რითაც უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიიღონ ფინალურ შეჯიბრებები, რომელიც 23 ივნისიდან დაიწყება ქალაქ ბათუმში და მასში საქართველოს 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. იმედია, რომ ისინი არც ბათუმში დაუდებენ ტოლს თანატოლებს და ყველაფერს გააკეთებენ საპრიზო ადგილის დასაკავებლად.

– რა გეგმები აქვს „სპორტგაერთიანების“ ძირითად გუნდს სამომავლოდ?

– საგარეჯოს სპორტგაერთიანების გუნდმა „გარეჯმა“ ახალი საფეხბურთო სეზონისათვის სამზადისი ივნისიდან განაახლა და ამჯერად მიზნად საპრიზო სამეულში მოხვედრას ისახავს. ვნახოთ, ამჯერად როგორ გაგვიმართლებს ფორტუნა და შევძლებთ თუ არა ამ მიზნის მიღწევას, მაგრამ აქედანვე ერთი რამის თქმა შემიძლია დაბეჯითებით, რომ გუნდის მწვრთნელები და ფეხბურთელები ძალასა და გამოცდილებას არ დავიშურებთ ამ მიზნის მისაღწევად. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით, და თქვენი გაზეთის საშუალებით გუნდის მწვრთნელებისა და ფეხბურთელების სახელით ***დიდ მადლობას მოვახსენებ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ უფროსს*** **ᲑᲘᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔᲡ,** ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს*** **ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ** და ***საკრებულოს თავმჯდომარეს*** **ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮ ᲑᲣᲠᲯᲣᲚᲘᲡ** იმ თანადგომისა და დახმარებისათვის, რასაც ისინი იჩენდნენ და ახლაც იჩენენ ჩვენი ფეხბურთელებისა და მათ მიერ წარმატებების მოპოვების საქმეში.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ᲝᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ 6 ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲓᲐᲜ

1-3 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ქობულეთში ჩატარდა ქობულეთელი ფალავნის, ევროპის ვიცე-ჩემპიონის კობა კაკალაძის პესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ასპარეზობაში ქვეყნის სხვა მოჭიდავეებთან ერთად მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელების რამაზ ასაბაშვილისა და დათო ბაბუნაძის აღსაზრდელები. ორი I და ექვსი III ადგილი, ასეთია ნორჩ საგარეჯოელ ფალავანთა „ნადავლი“ ქობულეთში. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ გიგი ქურხული (95კგ) და გიგა შიოშვილი (76კგ).

ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს თორნიკე ასაბაშვილმა (29კგ), ვასიკო დიღმელაშვილმა (46კგ), ბაჩო ქვლივიძემ (50კგ), ომარ ასაბაშვილმა (63კგ), გიორგი ბურჯანაძემ (63კგ) და მიხეილ ბოჭორიძემ (76კგ).

გ. ᲓᲐᲑᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ

ᲐᲛ დღეებში თბილისში გამართულ საქართველოს ვეტერანთა ჩემპიონატში ჭიდაობა ძიუდოში (50-55 წლის ასაკში) საგარეჯოელი ძიუდოისტებიც იღებდნენ მონაწილეობას. 81 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა ბადრი ბასილაშვილმა. მან წმინდად მოუგო ძიუდოისტებს ჩუტკერაშვილს, მჭედლიძეს, კახიძეს.

ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ***1966 წელს საგარეჯოს რაიონის სოფ. გიორგიწმინდაში. 1984 წელს გიორგიწმინდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე.***

ბადრი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია ძიუდოში, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში ყველა ასაკში. არის სსრკ შეიარაღებული ძალების ჩემპიონი ძიუდოსა და სამბოში. I საკავშირო თამაშების ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში, საბჭოთა კავშირის 20 წლამდე ასაკის III პრიზიორი და ჩემპიონი ძიუდოში. დიდებში თბილისის საერთაშორისო ტურნირის II და III პრიზიორი.

სერიოზული ტრავმის შემდეგ ბადრი აქტიურ სპორტს ჩამოშორდა და ამჟამად სოფელ გიორგიწმინდის სპორტდარბაზის აღსაზრდელთა მწვრთნელია ძიუ-დოში.

II ადგილი 73 კგ წონით კატეგორიაში დაიკავა ტარიელ ჯავახიშვილმა, ხოლო მძიმე წონაში – ჯამბულ მჭედლიშვილმა III ადგილი დაიკავა.

ეს ჩემპიონატი შესარჩევ ტურს წარმოადგენდა ევროპის ვეტერანთა ოლიმპიადისათვის, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოში თბილისში გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ ბადრი ბასილაშვილი და ტარიელ ჯავახიშვილი.

კულტურა

ბავშვის ესთეტიკური განვითარებისათვის

ამ დღეებში საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში 2014-15 სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით ჩატარდა სკოლის თითოეული პედაგოგის კლასის კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღო სწავლაში ყველა შესაძლებლობის მქონე სკოლის 200-მა მოსწავლემ.

კონცერტი, რომელიც 5 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, მიჰყავდათ სასწავლო ნაწილის გამგეს თეა ხატიაშვილს და სკოლის ახალგაზრდა პედაგოგს ნელიკო ოტიაშვილს.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მოსწავლეები I-დან VI კლასის ჩათვლით. შესრულდა ქართველი და უცხო ქვეყნის კომპოზიტორთა ნაწარმოებები. პედაგოგები, მშობლები, ბავშვები და სტუმრები ინტერესით უსმენდნენ კლასიკურ მუსიკას, მაყურებელი გამომსვლელებს მქუხარე აპლოდისმენტებით აჯილდოვებდნენ. კონცერტის ბოლოს სამუსიკო სკოლის დირექტორმა ლია ბურჯანაძემ მადლობა გადაუხადა პედაგოგებს გაწეული შრომისათვის, ხოლო დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის. აქვე მან სთხოვა მაყურებელს, ნუ დატოვებენ ბავშვებს სამუსიკო სკოლის გარეშე, შეიყვანონ სამუსიკო სკოლაში შვილები, შვილიშვილები და ნათესავები. როგორც მან აღნიშნა, სასურველია, ახალგაზრდობამ მიიღოს დაწყებითი სამუსიკო განათლება. ამ სკოლაში სწავლობენ როგორც ფორტეპიანოზე დაკვრას, ასევე სიმღერას, თეორიულ მასალას და მუსიკის ლიტერატურას. სკოლის მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება ბევრმა ბავშვმა მიიღოს ზოგადი განათლება მუსიკის სფეროში და ასევე კონკურს-ფესტივალების მეშვეობით გამოავლინოს ნიჭიერი ბავშვები. მარტო ერთი სპეციალობა ადამიანისათვის არ არის საკმარისი, თუ არა აქვს მას ზოგადი განათლება სხვადასხვა სფეროში. ბავშვებს სჭირდებათ ესთეტიკური განვითარება, რასაც ემსახურება სამუსიკო სკოლა.

კლასის კონცერტების დასასრულს სკოლის დირექტორმა მე-8 რესპუბლიკურ კონკურს-ფესტივალში გამარჯვებულ ლაურეატ მოსწავლეებს: ნია დიღმელაშვილს, მარიამ საგინაშვილს, მარიამ ესაიაშვილს, თამაზ გოდერძიშვილს, სალომე სიბოშვილს და მათ პედაგოგებს: ნელი ყანჩაშვილს, თეა ხატიაშვილს, მარინა ურდულაშვილს და ელზა ხიპაშვილს გადასცა დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

კულტსაგანმანათლებლო კერა

კომპიუტერები ბიბლიოთეკას

საპილოტე პროექტი "ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას" გულისხმობს კახეთის რეგიონში რეგისტრირებული სოფლის ბიბლიოთეკების კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით უზრუნველყოფას. საპილოტე პროექტის ფარგლებში ამ დღეებში სოფ: პატარძეულისა და კაკაბეთის ბიბლიოთეკებს საქართველოს პრეზიდენტისგან საჩუქრად კომპიუტერები გადაეცათ.

პროექტი ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ფინანსური მხარდაჭერით.

კომპიუტერული ტექნიკით საქართველოს ყველა სოფლის ბიბლიოთეკების უზრუნველყოფაა დაგეგმილი. პრეზიდენტის პროექტი სამომავლო სასიკეთო პროექტების განხორციელების ერთგვარ სტიმულს წარმოადგენს. ბიბლიოთეკების ხელშეწყობის პროექტი მომავალშიც მრავალ სიახლეებს წარმოგვიდგენს.

წიგნი ცოდნის წყაროდ რჩება

სოფელი კაკაბეთი ერთ-ერთი ფუძეძლიერი, მშრომელი ადამიანებით დასახლებული სოფელია. აქ ფიზიკური შრომის ფასიც იციან და განათლებისაც. სამყროს, ქვეყნის სოციალური ქსელებით დაქსელვამ ვერ გაანელა აქაურებში წიგნის კითხვის კულტურა და სიყვარული. კაკაბეთის ბიბლიოთეკა სხვადასხვა უწყებებთან ერთად სოფლის გამგეობის შენობაში, პირველ სართულზეა განლაგებული. ბიბლიოთეკარი მარინე მახარობლიშვილი აქ 1977 წლიდან მუშაობს. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 3413 წიგნს ითვლის. ახლახანს წიგნად ფონდს საინტერესო ახალი წიგნები შეემატა. აქ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და თანაც ისეთი წიგნებია, რომლებიც შეიძლება თბილისის უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკებში ვეღარც შეხვდეთ. ამიტომაც ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობენ გიორგი ჟამიერაშვილი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეორეკურსელი, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი ჟანა აზნაურაშვილი და მათი თანატოლები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

– ჩვენ ერთობ საინტერესო წიგნები გვაქვს, რომლის მიხედვითაც სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ და გამოიყენონ ფერმერული მეურნეობის დასაწყებად,– მეუბნება ქ-ნი მარინე და იმ თაროებს მათვალიერებინებს, სადაც დაინტერესებულ პირს შეუძლია მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მეფრინველეობის, მევენახეობის შესახებ სამეცნიერო წიგნებს გაეცნოს. მხატვრულ ლიტერატურაზე კვლავ დიდი მოთხოვნაა. ჩვენთან მოდიან დიასახლისები, სხვადასხვა საშუალოზე დასაქმებული ადამიანები. მაგალითად, დიასახლისი მზია ოსეფოვი ჩვენი მუდმივი და აქტიური მკითხველია. აქვეა ნანა ჯიქიძე, რომელიც სამსახურიდან აუცილებლად გამოგვივლის და თან გაიყოლებს მისთვის საინტერესო წიგნს. კაკაბეთის საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლე ნანა მარგებაძე კი ხშირად შემოირბენს და ლამაზყდიანი ზღაპრები სახლში წასაკითხად მიაქვს. ასევეა იმავე სკოლის მეშვიდეკლასელი ნათია მჭედლიშვილი, რომელსაც სათავგადასავლო ლიტერატურა აინტერესებს. ჩაილურის საჯარო სკოლიდან მეთერთმეტე და მეთორმეტეკლასელი დები ნატო და ელზა ნანუაშვილები დიდი ხიხარულით მოდიან ჩვენთან. ახლა გამიჭირდება ყველა იმ მოსწავლის, ახალგაზრდის ჩამოთვლა, რომლებიც ჩვენი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები და აქ ჩატარებული ღონისძიებების უშუალო მონაწილეები არიან. მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში საინტერესო ღონისძიებები ტარდება, ჩვენთანაც ისეთივე ინტერესით ერთვებიან ყოველგვარ სიახლეში, რომ აშკარაა, მათი ინტერესი წიგნის, მწერლების, პოეტების ბიოგრაფიებისა და შემოქმედების მიმართ არ შენელებულა. მოდიან და იციან, რომ აქ მათ ყველა პასუხი იმ წიგნების წაკითხვის, გაცნობის მეშვეობით გაეცემა, რომლებიც აქ ამ დიდ ოთახში თაროებზე თავიანთ მკითხველებს ელიან.

დღეისათვის ბიბლიოთეკას 430 მკითხველი ჰყავს. ბიბლიოთეკას ქვეყნის პრეზიდენტის საჩუქარი კომპიუტერი ამ დღეებში გადაეცა წინა დღეებში კი საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნაჩუქარი 500 ლარის ღირებულების წიგნებიც შეემატა.

კონკურსი

გამოვლინდნენ კალიგრაფისტები

***საქართველოში** ტრადიციადაა ქცეული კალიგრაფისტთა კონკურსის გამართვა, რომელსაც საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი ყოველწლიურად ატარებს. ამჯერად ასეთი კონკურსი საგარეჯოს მუნიციპალიტეტშიც გაიმართა, რომლის ორგანიზატორობა აიპ „საგარეჯოს კულტგაერთიანების" ხელმძღვანელობამ საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს ბადრი დრეიძეს მიანდო. ახლა, როცა კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდნენ, შედეგებზე კონკურსის ორგანიზატორი და ჟიურის წევრი* **ბადრი დრეიძე** გვესაუბრება:

– კონკურსის მიზანი იყო ქართული დამწერლობისა და ქართული კალიგრაფიის პოპულარიზაცია, ხელით წერის კულტურის განვითარება და კონკურსში მონაწილეთა შემოქმედებითი უნარის წარმოჩენა. კონკურსი უნდა ჩატარებულიყო ორ ასაკობრივ ჯგუფში: მე-7, მე-8, მე-9 კლასელები, მე-10, მე-11, მე-12 კლასელები, მაგრამ აქვე ჩვენ გავითვალისწინეთ რა კონკურსში მონაწილეობის მსურველთა დაინტერესება, დავუშვით მესამე ასაკობრივი ჯგუფიც – ზრდასრული, დაინტერესებული პირები.

კონკურსი ჩატარდა სამ ეტაპად. I – დაუსწრებელი ტური, სადაც კონკურსანტებს დაუსწრებლად შეეძლოთ ნამუშევრის წარმოდგენა, II და III ტურები, სადაც კონკურსანტს უნდა შეესრულებინა ჟიურის მიერ წარდგენილი ტექსტის დედანის ასლი, ამასთან, იგი შემოქმედებითად უნდა მისდგომოდა მიცემული ტექსტის ასლს.

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: აიპ „საგარეჯოს კულტგაერთიანების" დირექტორი ბესო ღვინაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის და ტურიზმის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნინო ქაიხსროშვილი, საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი თამარ ჯაბადარი, აიპ „საგარეჯოს კულტგაერთიანების" მხატვარი თამარ იორამაშვილი და მე – საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

კონკურსში მონაწილეობა ვერ მიიღო II ასაკობრივმა ჯგუფმა. სულ მონაწილეობდა 15 კონკურსანტი, აქედან 8 – უმცროსი ასაკის და 7 – ზრდასრული, დაინტერესებული პირი.

კონკურსი მიმდინარეობდა კოდირებული წესით – ჟიურის წევრებისათვის ცნობილი არ იყო ნამუშევრის ავტორი. უმცროსი ასაკის მონაწილეთაგან ჟიურიმ I ადგილი (39 ქულით) თამარ დარისპანაშვილს მიაკუთვნა, II ადგილი (38 ქულა) – მანანა ყაზარაშვილს, III – (35 ქულა) – ანა ყანდინაშვილს. რაც სეეხება ზრდასრული, დაინტერესებული პირების ასაკიდან აქ, პირველი ადგილი (40 ქულა) საგარეჯოს IV საჯარო სკოლის პედაგოგს ნანული ბილანიშვილს მიენიჭა, რომელსაც არაერთხელ გაუმარჯვია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ მოწყობილ კონკურსში. მეორე ადგილი (38 ქულა) დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის დირექტორს ლია როსტიაშვილს ხვდა წილად, ხოლო III ადგილი (37 ქულა) – პროფესიით ზოოვეტერინარს – ივანე დურგლიშვილს.

გამარჯვებულ კონკურსანტებს 26 მაისს საგარეჯოში გამართულ სახალხო ზეიმზე ფასიანი საჩუქრები, ხოლო მონაწილეებს – დიპლომები გადასცათ აიპ „საგარეჯოს კულტგაერთიანების" დირექტორმა, ჟიურის თავმჯდომარემ ბესო ღვინაშვილმა.

სასიხარულოა, რომ ზეიმის მონაწილეთაგან უამრავმა მომავალი წლის კონკურსში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა.

სურათზე: *კონკურსში გამარჯვებულ კალიგრაფისტს ნანული ბილანიშვილს ფასიან საჩუქარს გადასცემს კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე ბესო ღვინაშვილი და კონკურსის ორგანიზატორი და ჟიურის წევრი ბადრი დრეიძე*

„ვალი გაწევს – კვალი დაგრჩეს“

ტაქტიანი, პროფესიონალი

თამაზ ძუმელაშვილი საგარეჯოელია. შრომისმოყვარე ოჯახში დაბადებულ-გაზრდილი. კარგად იცის შრომის ფასი. საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1987 წელს მუშაობა გიორგიწმინდის მედორეობის კომპლექსში დაიწყო. ეს შრომითი მიღწევებისათვის საკმაოდ დარაზმული და ყოფილი საბჭოეთის სივრცეში ცნობილი შრომითი კოლექტივი იყო. აქ ფასდებოდა პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და რაც მთავარია – ადამიანებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა. გულღიად მიიღო მაშინ თამაზი თავისმა კოლექტივმა. მალე შეამჩნიეს მასში ის თვისებები, უნარები და შესაძლებლობები, რაც იმ დროს – გასული საუკუნის 80-იან წლებში ახალგაზრდებს ნელ-ნელა ავიწყდებოდათ. ამიტომაც შეიყვარა კოლექტივმა ენერგიული, თავისი საქმის უღალატო ახალგაზრდა. წლები გავიდა და მალე ყველაფერი დროსთან ერთად აირია – შეიცვალა საზოგადოებრივი ფორმაცია, ადამიანებმა შეიცვალეს სამუშაო ადგილები და შეიცვალეს ხასიათები, თვისებები, ურთიერთდამოკიდებულება. მაგრამ თამაზის სამუშაო ადგილის შეცვლის პარალელურად არ შეუცვლია თავისი მეგობრული, უღალატო დამოკიდებულება ადამიანებისადმი. დღეს თამაზი დამოუკიდებელი სპეციალისტი, თავისი კონსულტაციებით მომსახურებას უწევს ჩვენი მუნიციპალიტეტის დამწყებ თუ მოქმედ ფერმერებს, უბრალო, საოჯახო მეურნეობის მქონე პირებს. მასთან ყოველთვის დიდი ინტერესით და სიხარულით მიდიან მეფრინველეობის, მეცხოველეობის მიმდევრები. იციან თავისი გულითადობით, ყურადღებით, კვალიფიციურობით თამაზი არასოდეს დაადალატებთ და ისეთ კონსულტაციას გაუწევთ, როგორც ეს პროფესიონალ ადამიანს შეეფერება.

დღეს კი ადამიანებს ურთიერთობის დეფიციტი გვაქვს, გვიჭირს ერთმანეთთან რაღაცით. მცირე დოზით გულითადობის, ყურადღების, პატივისცემის გამოხატვა. თამაზის კი ეს ყველაფერი ისევ ჩვენთვის, ჩვეულებრივი ადამიანებისათვის დიდი დოზით აქვს. მასთან ვეტაფოთიაქში მისვლა ნიშნავს ჩვენთვის საჭირო კონსულტაციის უზადო პროფესიონალიზმით, დახვეწილი ტაქტიანობით გაწევას, თუმცა შეიძლება ამას მას სულაც არ ავალდებულებდეს დღვანდელი მოთხოვნები...

ასეთი ადამიანები ჩვენც შეგვახსენებენ, რომ ერთმანეთის მიმართ ყურადღებიანი და ტაქტიანი ვიყოთ.

მარინე ჯავახიშვილი

ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში – სტაჟირებაზე

იორამუდანლოს საჯარო სკოლის დირექტორისა და ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლის კაზახ აბდულაევის სახელი კარგადაა ცნობილი განათლების სფეროს ამ დარგის მუშაკთა შორის. ივრისპირეთში აღზრდილმა ჭაბუკმა, დაამთავრა თუ არა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი, მას შემდეგ თითქმის 40 წელია თავდაუზოგავად ემსახურება საგარეჯოს რაიონის აზერბაიჯანული ეროვნების ბავშვებისათვის ფიზიკა-მატემატიკის საიდუმლოებებით მოცული მეცნიერების შესწავლა-დაუფლების საქმეს. მისი ნაყოფიერი შრომის შედეგად ამ სკოლის მოსწავლეები მუდამ გამარჯვებული გამოდიან ფიზიკა-მათემატიკის საგანში ადგილობრივ, რეგიონულ თუ რესპუბლიკურ დონეზე გამართულ ღონისძიებებში. შემთხვევითი არაა და მის დამსახურებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სწორედ მას მიანდეს ქართული ენიდან საქართველოს აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისათვის მათემატიკის სახელმძღვანელოების თარგმნა – მიუხედავად ასაკისა, იგი ახალგაზრდული ენერგიით სისტემატიურად იმაღლებს პროფესიული ოსტატობის დონეს. მინიჭებული აქვს ტრენერის წოდება და თავის ცოდნა-გამოცდილებას უშურველად გადასცემს თავის კოლეგებს.

აღიარებულმა მასწავლებელმა, ტრენერმა და მთარგმნელმა მათემატიკოსმა მორიგ წარმატებას მიაღწია მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოსათვის. იგი მონაწილეობას იღებდა სსიპ საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შვეიცარიის ქ. ჟენევაში ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში ერთკვირიან სტაჟირებაზე გასაგზავნი ქვეყნის საჯარო სკოლების ფიზიკის მოქმედ მასწავლებელთა შესარჩევ კონკურსში, სადაც გაიმარჯვა და მოხვდა იმ ხუთ მასწავლებელს შორის, ვინც სტაჟირებას გაივლის აღნიშნულ ცენტრში. მის ჟენევაში სტაჟირებას დააფინანსებს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

კაზახ მასწავლებელს ვულოცავთ თავის ამ მორიგ წარმატებას, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მისი პროფესიული ოსტატობის ამაღლებას და იმედს გამოვთქვამთ, რომ ჟენევაში მიღებულ ახალ გამოცდილებას იგი უშურველად გაუზიარებს თავის კოლეგა მასწავლებლებს, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი მომავალი თაობების მეცნიერების ამ დარგში სწავლა-განათლების ამაღლების საქმეს.

გ. დაგახიშვილი

ტყუპები, კირჩხიბის ზოდიაქოში დაბადებულები

ჭკვილიანია ივლისიც და თებერვალიც

ტყუპების დაბადებას დიდი სიხარულით შეხვდა ბეჟიაშვილების ოჯახი. განსაკუთრებული სიამაყით შეეგება მათ უფროსი ძმა ალექსი. იზრდებოდნენ ტყუპები, მათ მოვლა-პატრონობაში განსაკუთრებული „წვლილი შეჰქონდა“ ალექსისაც. ერთმანეთს ჰგავდნენ და არც ჰგავდნენ, მაგრამ მაინც დიდი იყო მსგავსება ვალერისა და ვანოს შორის. ერთმანეთში ხშირად ეშლებოდნენ მასწავლებლებსაც. სამაგიეროდ მათ არ ეშლებოდათ არაფერი – უფროს ძმასთან მოკრძალება, პატივისცემა და მათი მომდევნო ფრიდონის მიმართ მზრუნველობა. ხარობდა ოჯახი, სადაც სამშობლოს 4 დამცველი იზრდებოდა, ერთმანეთზე უკეთესები – შესახედავად, ვაჟკაცობით, ქართული, ლამაზი, უტეხი სულით. ბიჭებიც ამაყობდნენ მშობლებით. მამის სამსახური ვაჟკაცობას, მამაცობას მოითხოვდა. მართლაც ათეული წლების განმავლობაში მის ხელში აღიზარდნენ და დაოსტატდნენ საგარეჯოელი მეხანძრეები. დედა კი დიდი ოჯახის დიასახლისი, დიდი რუდუნებით უვლიდა ოჯახის 5 მამაკაცს.

სოფელიც შეჰხაროდა მათ ოჯახს, უყვარდათ, აფასებდნენ. ამიტომ იყო სოფლისათვის 9 თებერვალი, მანამდე კი გაწელილი 8 ათეული გაუსაძლისი, ჭირთათმენით გავლილი დღე. ავტოკატასტროფაში მოყოლილი ვალერის სიცოცხლეს მთელი სოფელი ავედრებდა უფალს, მუხლებზე დაჩოქილი ლოცულობდნენ ბეჟიაშვილები, სული სტკიოდა ტყუპისცალს, მაგრამ...

მარადიულ სამყოფელში გადაინაცვლა ვალერიმ. ოჯახს შვილი, ძმებს – ძმა, სოფელს გულშემატკივარი, საქართველოს – ლამაზი, ვაჟკაცური ჯიშის გამგრძელებელი მოაკლდა. წრფელი ცრემლებით დაიტირეს ვალერი, სასუფეველისკენ მიმავალ გზას უნათებს ტყუპისცალის ხელით დანთებული სანთლები, ვანოს გულს კი სანთლის ნაღვენთივით ცხელი ცრემლი ეწვეთება – თმაში ჭაღარას ჭაღარად უმატებს – უდროოდ მარადისობაში გადასული ტყუპისცალის ხსოვნა.

ვალერი 22 წლის ჭაბუკად დარჩა, მარადისობას შეერთებული, ვანოს კი გიორგიწმინდის წარმომადგენელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს 6 ივლისს 32 წელი უსრულდება. ვანოსთვის ტკივილიანია 9 თებერვალიც და 6 ივლისიც, მაგრამ უფლის ნებას ვერავინ აღუდგება წინ.

სიცოცხლე, ცხოვრება გრძელდება...

გილოცავთ ვანო, დაბადების დღეს! სიკეთე და სიხარული, მხნეობა, შენი ტკივილისათვის კვლავაც ვაჟკაცური გამძლეობით გაგეძლოს.

სასახელო შვილად გაზრდილიყოს ვალერის მოსახელე.

ხსოვნა

გურამ დავითელაშვილი



ეს ივნისიც უშენოდ მოვიდა, ჩემო გურამ! ზაფხულის ცხელი დღეები ვერ ათბობს დედაშენის გაყინულ გულს – მას ხომ მხოლოდ შენი სიცოცხლე, ღიმილი, მოფერება ათბობდა. დრო გაჩერდა უშენობით, სიხარულს ვეღარ ვგრძნობ – შენს ნახვას, მოფერებას ნატრობს უშენობით გამწარებული გული. მხოლოდ შენზე ლოცვა მიწყნარებს აფორიაქებულ სულს, შენზე ფიქრი არ მტოვებს წამიერად – რატომ იყავი ასეთი თბილი, ალერსიანი, კაცთმოყვარე, ალალი?! რატომ დაგვამახსოვრე თავი ასე ტკბილმა, მაგრამ ახლა სიმწარედ ქცეულმა?! მონატრების უსაშველო ღრუბელი აწევს შენს სანათესაოს, ჩემო შვილო. იზრდება შენი ანი, იზრდებიან შენი დისშვილები. ჩვენს სახლებს ახმიანებს შენი მოსახელე – შენი ბიძაშვილის – სანდროს პატარა გურიკა, რომელიც ძალიან, ძალიან გვიყვარს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩემო გურამ. ივნისი შენი ამსოფლიდან მარადიულობაში გადასვლის თვეა. მეთერთმეტე წელი გაილია უშენოდ.

ჩვენს მიერ დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს სასუფეველი.

დედა – ზინკა ჩიტაური

დათო მალასიძე



ორი წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღის შემდეგ, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ, ჩვენო საყვარელო მამიკო. დიდი ტკივილი და მწუხარება მოგვიტანა შენმა უეცარმა გარდაცვალებამ, განსაკუთრებით შენს მარტოდ დარჩენილ მეუღლეს, რომელიც ვერ ეგუება უშენობას. ხშირად მოვდივართ შენს საფლავთან სანთლებით და ცრემლიანი თვალებით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ჩვენო კეთილო მამა. მუდამ ჩვენს გულებში იქნები.

მეუღლე ვარდიკო, შვილები მარიკა, ეკა და ნინო ოჯახებით

სოფელი კაკაბეთი

იყიდება

ვენახი, თავისუფალი ფართით. სულ 2300მ2-მდე ქ. საგარეჯოში, რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალის მარჯვენა მხარეს, ე.წ. „ხალოილის“ ბენზინგასამართი სადგურის ახლოს.

ფასი შეთანხმებით.

მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე: 599 85 11 27.

სარეკლამო კომპანია გთავაზობთ:

ფერად ბეჭდვას მაისურზე, ჭიქაზე,კეპზე, ასევე სავიზიტო ბარათებს, ფლაერებს, სარეკლამო ჩვეულებრივ და თვითწებად a4 და a3 ფორმატის ფერად პლაკატებს, ბანერებს - გერმანული „არაკალის” მეშვეობით. თვითწებვად სტიკერებს,ეტიკეტებს და მრავალი სხვა

დაწვრილებით ინფორმაცია საიტზე www.madstudio.ge ტელ 599 172622. საგარეჯო

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

რედაქტორი:
თინათინ ილაური